# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახე:

☐ უნივერსიტეტი

■ სასწავლო უნივერსიტეტი

☐ კოლეჯი

| ინფორმაცია ავტორიზაციის შესახებ | |
|---|---|
| გადაწყვეტილების ნომერი | N260 |
| თარიღი | 21/08/2012 |
| სტუდენტთა ადგილების რაოდენობა | 2000 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ციური დურული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ინგა ბოჭოიძე

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________________

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________________



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________________.

ბ.ა.

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა)

სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2017 წლის 21 აგვისტოს მიმართა წერილით №01-08/76, რომლითაც დაწესებულებამ მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „პრაქტიკოსი ექთნის", „ფარმაცევტის თანაშემწის", „ოფისის მენეჯერის", „ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის" და „მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები)" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 22 აგვისტოს №531 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა კომისიამ შეამოწმა სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებები, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი, ამ პროგრამების აქტიური პროფესიული სტუდენტები და მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი.

***საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებები***

საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:

**„პრაქტიკოსი ექთნის"** მოდულური პროფესიული პროგრამის საწარმოო პრაქტიკისათვის:
1. ზუგდიდის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკა" - ზუგდიდი - ?;
2. შპს სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება - სენაკი - 2015 წ.;
3. ინდ. მეწარმე „ირაკლი შულაია"- სენაკი, 2015 წ.;
4. შპს „პანაცეა" - სენაკი, 2015 წ.;

**„ფარმაცევტის თანაშემწის"** მოდულური პროფესიული პროგრამის საწარმოო პრაქტიკისათვის:
1. შპს აფთიაქი „ელადა" - ზუგდიდი, 2015წ.;
2. იმ აფთიაქი „ზაირა გერგედავა" - ზუგდიდი, 2015წ.;
3. შპს აფთიაქი „ვიტა" - ზუგდიდი, 2015 წ.;
4. სპს აფთიაქი „ჯულიეტა ნადარაია" - ზუგდიდი, 2015 წ.;
5. ინდ. მეწარმე „ირაკლი შულაია"- სენაკი, 2015 წ.;
6. ი.მ თეონა ლოგუა - აფთიაქი - ზუგდიდი, 2017 წ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________________

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________________



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________________.

ბ.ა.

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა)

**„ოფისის მენეჯერის“** მოდულური პროფესიული პროგრამის საწარმოო პრაქტიკისათვის:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის #1 საჯარო სკოლა - ზუგდიდი, 2015 წ.;
2. შპს „ტერმინალი“ - ზუგდიდი, 2015 წ.;
3. სსიპ მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ ზუგდიდის #2 საჯარო სკოლა - ზუგდიდი, 2015 წ.;
4. სსიპ ქალაქ სენაკის #1 საჯაროს სკოლა-სენაკი, 2015 წ.;
5. თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის #7 საჯარო სკოლა - სენაკი, 2015 წ.

**„ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“** მოდულური პროფესიული პროგრამის საწარმოო პრაქტიკისათვის:

1. ააიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“ - ზუგდიდი, 2015 წ.;
2. ზუგდიდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრი-ზუგდიდი, 2015 წ.;
3. ინდივიდუალური მეწარმე მანანა ლატარია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ბაგა ბაღი „ნინუცა“- ზუგდიდი, 2015 წ.;
4. ააიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება - სენაკი, 2015 წ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, შერჩევის წესით ვიყავით 8 ობიექტზე (აქედან 4-ზუგდიდში, 4-სენაკში). ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაადასტურეს პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის მიღებისათვის მზაობა, როგორც ზუგდიდში, ისე სენაკში. მათ აღნიშნეს და დათვალიერებითაც დადგინდა, რომ აქვთ შესაბამისი პირობები საწარმოო პრაქტიკის მოდულის განსახორციელებლად.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებს/ ხელშეკრულებებს განსაზღვრული აქვს მოქმედების ვადა, მაგრამ მათგან ზოგიერთს არა აქვს ნომერი და თარიღი, თუმცა აღნიშნულია, რომ არის უვადო.

სასწავლო უნივერსიტეტს ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ასევე იმ საგანმაანთლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს.

***პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი და სტუდენტები:***

სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 21 აგვისტოს № 260 გადაწყვეტილებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 2000-ით, აქედან პროფესიულ სტუდენტებზე- 700.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________________

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________________



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________________.

ბ.ა.

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 18 ნოემბრის №34 ადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში და სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის ახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 2000-ით, ქედან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე- 1000 ადგილი.

ვიზიტის მომენტისთვის, სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 13 ;მაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობდა 476 სტუდენტი და 28 პროფესიულ საგანმანათლებლო როგრამაზე -671 პროფესიული სტუდენტი, სულ -1147 სტუდენტი, უფრო კონკრეტულად, პროგრამების ახეების მიხედვით სტუდენტთა შემდეგი ოდენობაა:

| სტუდენტების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| № | საგანმანათლებლო პროგრამა | პროგრამების რაოდენობა | სტუდენტების/პროფ. სტუდ. რაოდენობა |
| 1. | ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები | 8 | 461 |
| 2. | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები | 3 | 15 |
| 3. | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები | 28 | 671 |
| 4. | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აზერბაიჯანულენოვანთათვის / სომხურენოვანთათვის) | 1 | - |
| 5. | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა | 1 | - |

| | |
|---|---|
| სულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების რაოდენობა | *476* |
| სულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების რაოდენობა | *671* |
| *სულ უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობა* | *1147* |
| | |
| სულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | 13 |
| სულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს რაოდენობა | 28 |
| *სულ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა* | *41* |

იმ პროფესიულ პროგრამებზე, რომლებზედაც სასწავლო უნივერსიტეტი ზღვრული რაოდენობის გაზრდას ითხოვს, ასეთი მდგომარეობაა:

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________________

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________________



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________________.

ბ.ა.

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა)

| N | პროგრამის დასახელება | სწავლების საფეხური | განსაზღვრული ადგილების რაოდენობა | მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა | | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოფისის მენეჯერი | IV | 20 | 80 | 40 -ზუგდიდი<br>40-სენაკი | 45 |
| 2 | პრაქტიკოსი ექთანი | V | 20 | 80 | 40 -ზუგდიდი<br>40-სენაკი | 56 |
| 3 | ფარმაცევტის თანაშემწე | IV | 20 | 80 | 40 -ზუგდიდი<br>40-სენაკი | 52 |
| 4 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი | V | 20 | 80 | 40 -ზუგდიდი<br>40-სენაკი | 53 |
| 5 | მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები) | IV | 20 | 30 | 10 -ზუგდიდი<br>20-სენაკი | 17 |
| | სულ | | **100** | **350** | | **223** |

წლების მიხედვით, კონკრეტულად 2015 და 2016 წლებში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა ზუგდიდსა და სენაკში ასეთია:

| N | პროგრამის დასახელება | სწავლების საფეხური | პროფესიული სტუდენტები ჩარიცხვის წლების მიხედვით | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ზუგდიდი | | | სენაკი | | | სულ |
| | | | 2015 | 2016 | სულ | 2015 | 2016 | სულ | |
| 1 | ოფისის მენეჯერი | IV | 11 | 11 | 22 | 17 | 6 | 23 | 45 |
| 2 | პრაქტიკოსი ექთანი | V | 15 | 17 | 32 | 10 | 14 | 24 | 56 |
| 3 | ფარმაცევტის | IV | 19 | 15 | 34 | 8 | 10 | 18 | 52 |

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________________

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________________



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________________.

ბ.ა.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თანაშემწე | | | | | | | | |
| 4 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი | V | 7 | 19 | 26 | 14 | 13 | 27 | 53 |
| 5 | მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები) | IV | - | - | - | - | 17 | 17 | 17 |
| | | | 52 | 62 | 114 | 49 | 60 | 109 | 223 |

რაც შეეხება, პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს, სასწავლო უნივერსიტეტში შემდეგი ვითარებაა:

| აკადემიური პერსონალის რაოდენობა | |
|---|---|
| პროფესორი | 9 |
| ასოცირებული პროფესორი | 25 |
| ასისტენტ-პროფესორი | - |
| ასისტენტი | - |
| სულ: | 34 |

| პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა | |
|---|---|
| პროფესიული განათლების მასწავლებელი | 130 |
| სულ: | 130 |

ვიზიტის მომენტისთვის უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის რაოდენობაა -34, სტუდენტების - 476, შესაბამისად, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობაა - 476/34 (საშუალოდ 14 სტუდენტზე 1 აკადემიური პერსონალი),

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ (01.10.2010) საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" მიხედვით: დაწესებულებას უნდა ჰყავდეს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________________

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________________



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ______________________.

ბ.ა.

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა)

ვიზიტის მომენტისთვის პროფესიული მასწავლებლების რაოდენობაა - 130, პროფესიული სტუდენტების- 671, შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების თანაფარდობაა- 671/130 (საშუალოდ 5 სტუდენტზე 1 პროფესიული განათლების მასწავლებელი).

პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*მატერიალური რესურსი:*

დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის:

| ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი: | | |
|---|---|---|
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | | |
| მისამართი | კვ.მ | შენიშვნა |
| 1. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ.N14 | 20 500.00 | სასწავლო კორპუსი |
| 2. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ.N17 | 2435.00 | საერთო საცხოვრებელი |
| 3. სენაკი, მშვიდობის ქ.N192 | 69 361.00 | სასწავლო კორპუსი |
| 4. სენაკი, მშვიდობის ქ.N192 | 116 364.00 | |
| 5. სენაკი, მშვიდობის ქ.N192 | 84 413.00 | |
| 6. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 | 1285.00 | |
| **დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | | |
| 1. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ.N14 | 4 450.00 | |
| 2. სენაკი, მშვიდობის ქ.N192 | 11 894.74 | |
| **დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | | |
| 1. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ.N14 | 345.2 | |
| 2. სენაკი, მშვიდობის ქ.N192 | 2 488.33 | |
| ზუგდიდი, ჯანაშიას ქ.N17 | 2435.00 | |

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დაფიქსირდა, რომ დაწესებულების საერთო ფართი 209 945 კვ.მ-

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________________

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________________



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________________.

ბ.ა.

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა)

ია, ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტის შემდგომ სასწავლო ფართის რაოდენობა არ შეცვლილა. ამავე პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა და კეთილმოწყობილ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა/ რესურსები. სულ უნივერსიტეტს გააჩნია 362 კომპიუტერი, აქედან 45 ნოუთბუქია. მათგან 25 - შეძენილი იქნა 2017 წლის ივნისში. 260 კომპიუტერი განთავსებულია 10 კომპიუტერულ ლაბორატორიაში (აქედან, 7-ზუგდიდში, 3-სენაკში).

ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ზუგდიდის სასწავლო კორპუსის სარემონტო სამუშაოები, რომელიც სატენდერო ხელშეკრულებების მიხედვით 23 სექტემბრამდე უნდა იქნეს დასრულებული.

შესაბამისად, სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (როგორც ზუგდიდის, ასევე სენაკის სასწავლო კორპუსებში) გააჩნია მოთხოვნილი კონტინგენტისათვის საკმარისი ფართი (A, B და C გარემო), მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსი.

**ინფორმაცია ვიზიტის შესახებ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ 2017 წლის 24-25 აგვისტოს შემოწმდა სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თავისებურებები ზუგდიდისა და სენაკის კორპუსებში, ფართის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფლობისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პროფესიულ სტუდენტთა რეესტრის მონაცემები და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტაცია. ვიზიტის მსვლელობისას ჩატარდა შეხვედრები სასწავლო უნივერსიტეტის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტთან, სენაკის განყოფილების უფროსთან, სხვა ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან. ვიზიტის დროს დაწესებულების მხრიდან ოპერატიულად იქნა წარმოდგენილი ყველა საჭირო, მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

| | | | |
|---|---|---|---|
| დასკვნის შედგენის ადგილი | თბილისი | თარიღი | 31.08.2017 |

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________________

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________________



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ____________________.

ბ.ა.